


საიდ. N 79212/03

IR 1219055

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N03-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „გესს? იპ ჰოლდერ ლ.პ“ (GUESS? IP HOLDER L.P.) N03-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 01 ოქტომბრის N2829/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო

გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისათვის



(საიდ. N79212/03, IR 1219055)

დაცვის მინიჭება განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ (25-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები


გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 01 ოქტომბრის N2829/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშნის მახასიათებლები არ წარმოადგენენ იმ საქონლისათვის განმსასხვავებელ ელემენტებს რომლისთვისაც მოითხოვება აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია. კერძოდ 25-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის: „ტანსაცმელი, ქვედები, ჯინსები, შარვლები, სავარჯიშო შარვლები, სპორტული ტანსაცმელი, ქვედა საცვლები, სპეცტანსაცმელი, კომბინიზონები, შორტები და ქვედაბოლოები“. გრაფიკული ნახაზის მიხედვით, ეს არის ნაკერებიანი ჯიბე, აღნიშნული ტიპის დეკორატიული ჯიბე ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ისეთი პროდუქციისათვის, როგორცაა შარვალი, ასევე, შორტი და ქვედაბოლო. მომხმარებლისათვის რთულია მხოლოდ ჯიბეზე დატანილი ნაკერებით განსაზღვროს საქონლის წარმომავლობა და ასევე, განსაზღვროს რომელი საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციაა აღნიშნული ელემენტის ქვეშ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ აღქმული იქნება, როგორც ტანსაცმლის დეკორაცია ან ფუნქციური ნაწილი, ნაკერებიანი ჯიბეს არ აქვს რაიმე განსაკუთრებული ელემენტი, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემდა განესხვავებინა ერთი საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია მეორე საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციისგან, რაც შეეხება ჯიბეზე დატანილ ქვევით მიმართულ სამკუთხედს იგი წარმოადგენს მარტივი სახის გეომეტრიულ ფიგურას, რაც

სასაქონლო ნიშანს ვერ ანიჭებს განმასხვავებლობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.


აპელანტი, კომპანია „გეს? იპ ჰოლდერ ლ.პ.“ (GUESS? IP HOLDER L.P.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია



გამოსახულებითი ნიშანი კერძოდ, ხუთგვერდიანი ფიგურა, რომელსაც აქვს ჯიბის ფორმა სპეციალური გვირისტითა და წვერით ქვემოთ სამკუთხედით. აპელანტის მითითებით, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ აღნიშნული სამკუთხედი უბრალოა. აღნიშნული შეფასება მეტად მწირია და არაადაკმაყოფილებელი ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის. აპელანტის პოზიციით, სწორედ ეს სამკუთხედი წარმოადგენს ნიშანში ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმასხვავებელ ელემენტს და ასევე, კომპანიის “გეს? იპ ჰოლდერ ლ.პ.”-ს (GUESS? IP HOLDER L.P), სხვადასხვა ნაწარმის, მათ შორის ტანსაცმლის, ერთ-ერთ ცნობილ (მათ შორის საქართველოს მომხმარებლისათვის) საფირმო ნიშანს. აღნიშნული სიმბოლო დაცულია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში რამდენიმე სახით, კერძოდ:

საერთ. რეგ. № 1091415	საერთ. რეგ. № 1104623	საერთ. რეგ. № 1089696	საერთ. რეგ. № 1143776



შესაბამისად, აღნიშნული სამკუთხედის ჩართვა სიმბოლოში განასხვავებს აპელანტის საქონელს სხვა მწარმოებლის საქონლისაგან, მაგალითად, ჯორჯო



არმანის ნიშნით ნიშნადებული საქონლისაგან. აღნიშნული სამკუთხედით ნიშნადებული საქონელი, კერძოდ, 25-ე კლასის საქონელი, მომხმარებლის გარკვეული სეგმენტისათვის ცნობილია და შესაბამისად, განმასხვავებელი თვისების მატარებელია. რაც შეეხება დაცვაზე წარდგენილი სიმბოლის მეორე ელემენტს, ესაა სპეციალური გვირისტით წარმოდგენილი ხუთგვერდიანი ფიგურა. ექსპერტის აზრით, ნიშნის ფორმა არაგანმასხვავებელუნარიანია, ვინაიდან, მსგავსი ფორმა ფართოდ გამოიყენება საქონლის ვაჭრობის სფეროში. აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის მსგავსი ფორმა ფართოდ გამოიყენება, ვინაიდან იგი წარმოადგენს ჯიბეს, ჯიბე კი დამახასიათებელია 25-ე კლასის საქონლისათვის. როგორც ცნობილია, ნიშნის ფუნქციაა განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი მეორე საწარმოს საქონლისაგან. ვინაიდან, დღევანდელ მსოფლიოში უამრავი მწარმოებელი და საქონელია და განსაკუთრებით ბევრი კომპანია აწარმოებს მაგალითად, ტანსაცმელს, კომპანიებმა, განსაკუთრებით ცნობილი ნიშნების მფლობელმა კომპანიებმა, კომპანიის ნიშანთან ერთად, საქონლის დამატებით განმასხვავებელ ელემენტად დაამკვიდრეს სწორედ ჯიბის გვირისტის ფორმების რეგისტრაცია (Lee jeans, Wrangler, Jeep, Levi's, Guess?, Tommy Hilfiger, Calvin Klein, Montana და სხვა მრავალი). მფლობელებს დაცული აქვთ კონკრეტული გვირისტის ფორმები, რაც აღნიშნული სეგმენტის მომხმარებელს აძლევს საქონლის განსხვავების საშუალებას, მაგალითად, ვინც არის Wrangler-ის

მომხმარებელი, მას არ აერევა მისთვის სასურველი მწარმოებელი მაგალითად, Lee Cooper-ში (ლი კუპერი) ან არმანში და ა.შ.



აპელანტის პოზიციით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის გვირისტის ფორმას შეადგენს ორზოლიანი, გრძელხაზებად დატანილი წყვეტილი გვირისტი, წყვეტის ადგილებში ორ-ორი წერტილით. გვირისტის აღნიშნული სახე და კომპანიის სიმბოლო (სამკუთხედი წვერით ქვემოთ) ანიჭებს ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას და თუ ეს ასე არაა, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ არ ეთქვა იგივე საფუძვლით უარი დაცვაზე ასეთივე სახის ნიშნებს, ასევე, 25-ე კლასის საქონლისთვის მაგალითად:


საერთ. რეგ. 766400	საერთ. რეგ. 837700	საერთ. რეგ. 859420	საერთ. რეგ. 859420

ყველა ზემოთ აღნიშნულ ნიშანში არაფერია განსაკუთრებული გარდა გვირისტისა, შესაბამისად, განცხადებული ნიშანი განმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ.

აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის მასალა, რომელიც ადასტურებს სიმბოლოს (სამკუთხედი წვერით ქვემოთ) გამოყენების ნიმუშებს. 2009–2012 წლებში საქართველოში არსებობდა GUESS–ის მაღაზია (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 11) და მისი გაყიდვების მაჩვენებელი იყო შემდეგი:

2009 გახსნა 22/10	2010	2011	2012 (30,06)
189,335	732,377	792,723	393,773


აპელანტის განმარტებით, ადგილობრივი მომხმარებლის გარკვეული სეგმენტისათვის განცხადებული ნიშანი ცნობილია და არ აერევა იგი სხვა მეწარმის ნიშანში და საქონელში. ნიშანი რეგისტრირებულია სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებშიც. აპელანტის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად– “საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება...”, შესაბამისად შესაძლებელია აპელანტის ნიშანს მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 01 ოქტომბრის N2829/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო



გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N79212/03, IR 1219055) დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (25-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №03-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.




განცხადებული სასაქონლო ნიშანი 25-ე კლასის შემდეგი საქონლისათვის: „ტანსაცმელი, ქვედები, ჯინსები, შარვლები, სავარჯიშო შარვლები, სპორტული ტანსაცმელი, ქვედა საცვლები, სპეცტანსაცმელი, კომბინიზონები, შორტები და ქვედაბოლოები“ (Clothing, namely, bottoms, jeans, trousers, sweatpants, pants, jumpsuits, overalls, shortalls, shorts and skirts) წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან ნიშანს. განცხადებული ნიშანი გამოსახულებითია და წარმოადგენს ხუთკუთხა ფიგურას, ჯიბეს რომელიც მართალია, გაფორმებულია წყვეტილი გვირისტით, მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას 25-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის, რადგან ჯიბის გვირისტით ამგვარი გაფორმება, მსგავსი პროდუქციისათვის, დამახასიათებელი და ფართოდ გამოყენებადია. განცხადებული გამოსახულებითი ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის დადგენისას, ჯიბის გვირისტით გაფორმებისას არ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, გვირისტი წყვეტილად არის შესრულებული თუ უწყვეტად. რაც შეეხება, ჯიბის ზედა მხარეს მოთავსებულ სამკუთხედს, რომლის წვერი არის ქვევით დახრილი, ვერც აღნიშნული სიმბოლო სძენს ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას, ვინაიდან სამკუთხედი, მიუხედავად მისი წვერის მიმართულებისა, წარმოადგენს მარტივ გეომეტრიულ

ფიგურას, რომელიც არ არის საკმარისი, რომ მომხმარებელმა შეძლოს საქონლის იდენტიფიცირება.

რაც შეეხება აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ბრენდი ქართველი მომხმარებლის გარკვეული სეგმენტისათვის ცნობილია, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მომხმარებელი აუცილებლად განასხვავებს აპელანტი კომპანიის საქონელს სხვა კომპანიების საქონლისაგან. კოლეგიას მიაჩნია, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ ნიშნის განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრების ფაქტი. კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ ხდებოდა განცხადებული ნიშნის გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე იმ ფორმით, როგორც წარმოდგენილია განაცხადში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული,



საერთაშორისო გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N79212/03, IR 1219055) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „გესს? იპ ჰოლდერ ლ.პ“ (GUESS? IP HOLDER L.P.) სააპელაციო საჩივარი (N03-03/16) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 01 ოქტომბრის N2829/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

მ. ჭიჭინაძე